პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 136 (9912) | ხუთშაბათი, 10 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ.

საბჭოთა მთავრობის დადგენილებას უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები. გუშინ რადიოთი მისი გადმოცემისთანავე მძლავრი პოლიტიკური აღმავლობით დაიწყო სესხზე ხელის მოწერა მთელ ჩვენს დიად სამშობლოში. სახელმწიფოს სიამოვნებით აძლევენ თავიანთ დანაზოგებს საბჭოთა ადამიანები — ყველა პროფესიის მშრომელები: მუშები და მოსამსახურეები, კოლმეურნეები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, მასწავლებლები და ექიმები, მეცნიერები, მწერლები და ხელოვნების მუშაკები.

დიდი წარმატებით ვრცელდება ახალი სესხი საქართველოშიც. რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები იმ უდიდესი ერთსულოვნების შესახებ, რასაც იჩენენ მშრომელები სესხზე ხელმოწერისას.

ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი კრებები გადაიქცა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის დიადი ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციად. მშრომელთა ერთსულოვნება და მაღალი შეგნება კვლავ და კვლავ ცხადყოფს, თუ რა მტკიცედ და განუხრელად მიჰყვებაან ისინი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ეს პოლიტიკა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველია, რადგან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი მოღვაწეობა მიმართულია მშრომელთა კეთილდღეობის მუდმივი გაუმჯობესებისაკენ, მათი ყოველი ახალი ღონისძიება გამსჭვალულია ადამიანებისათვის ზრუნვით. ეს ზრუნვა თავის კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმაგალითო გაქანებით, კომუნიზმის მშენებლობის ფრონტებზე მოპოვებული დიადი წარმატებებით.

საბჭოთა მთავრობის მიერ გამოშვებული სახელმწიფო სესხებიც ამ ზრუნვის მკაფიო დადასტურებაა. საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ სესხი, რომელსაც იგი თავისი დანაზოგების სახით ნებაყოფლობით აძლევს სახელმწიფოს, მის კეთილდღეობას, სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების განმტკიცებას, ახალი სკოლების, კინოთეატრების, საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების მშენებლობას ხმარდება.

ეს რწმენა კარგად გამოხატა სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილ კრებაზე სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ოსტატმა ო. ჯაველიძემ.

— სიხარულით მივცემ ჩემს შრომითს დანაზოგს დედასამშობლოს, რადგან ვიცი, რომ იგი მოხმარდება მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ახალ ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ მკვეთრ აღმავლობას.

საბჭოთა ადამიანები ყოველთვის მხურვალედ უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, მთელ თავიანთ ძალებს ახმარენ მის განხორციელებას, რადგან ამ პოლიტიკას მეოხებით საბჭოთა კავშირი მძლავრ და უძლეველ სახელმწიფოდ გადაიქცა, ამ პოლიტიკის მეოხებით უმაგალითოდ განვითარდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა, კულტურა, არნახულად გაიფურჩქნა ხალხის სულიერი და ფიზიკური ძალები, განუსაზღვრელად ამაღლდა საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი. ამ პოლიტიკის შედეგია ის, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები მთელი სისრულეთ სარგებლობენ სოციალისტური ცხოვრების ყველა სიკეთით და მტკიცე რწმენით შეჰყურებენ მომავალს.

ჩვენი ქვეყნის დიად წარმატებებში მკაფიოდ იჩენს თავს სოციალისტური წყობილების უდიდესი უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

იმ დროს, როცა განუხრელად ვითარდება და მტკიცდება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება, მაღლდება საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონე, კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებსაც მრავალი შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობა ღრღნის, სულ უფრო და უფრო ძლიერდება შეტევა მშრომელი ხალხის საარსებო დონეზე, სწრაფად იზრდება უმუშევრობა და სიღატაკე, მცირდება ფართო მოხმარების საგნების წარმოება.

იმ დროს, როდესაც სოციალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტი, სახელმწიფო სესხები სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებას, ხალხის კეთილდღეობის აღმავლობას, ადამიანის ბედნიერებას ხმარდება, როცა საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ღონისძიებანი მიმართულია მსოფლიოში მშვიდობის დაცვისა და ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის განმტკიცებისაკენ, კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტები ახალი აგრესიული, კაცობრიობის კულტურის დამანგრეველი, ადამიანთა მომსპობი ომის გაჩაღებისათვის მზადებას ხმარდება.

თავის სამართლიან საქმეში მტკიცედ დარწმუნებული საბჭოთა ხალხი, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმული, ერთსულოვნად აწერს რა სესხზე ხელს, უფრო მტკიცედ რაზმავს თავის ძალებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყოველთვის, ახლაც სიხარულით მისცემენ თავიანთ დანაზოგს საბჭოთა სახელმწიფოს, ერთსულოვნად მოაწერენ ახალ სესხზე ხელს, რითაც ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებასა და სიყვარულს კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა სამშობლოსადმი, ცხადყოფენ თავიანთ მზადყოფნას — განუხრელად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის ყველა გადაწყვეტილება, მიაღწიონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და კულტურის ახალ აღმავლობას, მთელი ძალები მოახმარონ დიადი მომავლის — კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1954 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ

სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ღონისძიებათა დაფინანსებისათვის მოსახლეობის სახსრების მოზიდვის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ **დაადგინა:**

1. გამოშვებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1954 წლის გამოშვება) 16 მილიარდი მანეთი თანხისა 20 წლის ვადით.

2. სესხის ობლიგაციები და მათი მოგებანი განთავისუფლდეს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისაგან და მოგებებით დაბეგვრისაგან.

3. დამტკიცდეს პირობები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1954 წლის გამოშვება) გამოშვებისა, რომელიც წარმოადგინა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ.

დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1954 წლის 8 ივნისს

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1954 წლის გამოშვება) გამოშვების პირობები

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1954 წლის გამოშვება) გამოშვებულია ვადით 1954 წლის 1 დეკემბრიდან 1974 წლის 1 დეკემბრამდე.

2. სესხი განკუთვნილია მხოლოდ მოსახლეობაში გასავრცელებლად. სესხის გავრცელების წესს ადგენს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

3. სესხი იყოფა თანრიგებად — ასი მილიონი მანეთი ყოველ თანრიგში.

თვითეული თანრიგი შედგება 20.000 სერიისაგან. თვითეული თანრიგის სერიებს აქვთ ნომრები № 160.001-დან № 180.000-მდე.

თვითეული სერიის ობლიგაციებს აქვთ ნომრები № 01-დან № 50-მდე.

4. სესხის ობლიგაციები გამოდის 500, 200, 100, 50, 25 და 10 მანეთის ღირებულებისა.

500 და 200-მანეთიანი ობლიგაციები შედგებიან შესაბამისად ერთი სერიის ხუთი ან ორი ასმანეთიანი ობლიგაციისაგან ხუთი ან ორი ნომრით და იძლევიან ხუთი ან ორი მოგების უფლებას, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ხვდება ობლიგაციაზე აღნიშნულ თვითეულ ნომერს.

50, 25 და 10-მანეთიანი ობლიგაციები წარმოადგენენ ასმანეთიანი ობლიგაციების ნაწილებს და იძლევიან უფლებას ასმანეთიანი ობლიგაციის კუთვნილი მოგების შესაბამის წილზე (1/2, 1/4, 1/10).

5. სესხის ობლიგაციების მთელი შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით.

მოგებათა საერთო თანხა საშუალოდ სესხის ოცი წლის განმავლობაში დაწესებულია წელიწადში 3 პროცენტის ანგარიშით.

20 წლის განმავლობაში მოიგებს სესხის ყველა ობლიგაციის 35 პროცენტი, ხოლო ობლიგაციების დანარჩენი 65 პროცენტი იფარება მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით.

ობლიგაცია, რომელსაც მოგება ხვდა, იფარება და შემდგომი ტირაჟებიდან გამოირიცხება.

სესხის მოგებანი წესდება 10.000, 5.000, 1.000, 500 და 200 მანეთის რაოდენობით ასმანეთიან ობლიგაციაზე, ობლიგაციის ნომინალური ღირებულების (ასი მანეთის) ჩათვლით.

6. ოცი წლის ვადაში გაიმართება სესხის მოგებათა 40 ტირაჟი — ორორი ტირაჟი ყოველწლიურად.

მოგებათა ტირაჟები გაიმართება, დაწყებული 1955 წლიდან, იმ ვადებში, რომლებსაც დაწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

7. მოგებათა ტირაჟებში სესხის ყოველ თანრიგზე, ე. ი. სესხის თვითეულ ასს მილიონ მანეთზე გათამაშდება მოგებათა შემდეგი რაოდენობა:

ასმანეთიანი ობლიგაციის მოგებათა ოდენობა ობლიგაციის ნომინალური ღირებულების ჩათვლით	გათამაშებულ მოგებათა რაოდენობა	
	ერთ ტირაჟში	სულ 40-სავე ტირაჟში
10.000 მანეთი	1	40
5.000 მანეთი	10	400
1.000 მანეთი	50	2.000
500 მანეთი	500	20.000
200 მანეთი	8.189	327.560
მოგებათა საერთო რაოდენობა	8.750	350.000
მოგებათა საერთო თანხა (მანეთობით)	1.997.800	79.912.000

8. ობლიგაციები, რომლებსაც მოგება არ ხვდათ, იფარება (გამოიყიდება) მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით 1959 წლის 1 დეკემბრიდან სესხის ვადის დამთავრებამდე დარჩენილი 15 წლის განმავლობაში.

სესხის ყოველ 100 მილიონ მანეთზე გამოიყიდება: 1959-1964 წლებში — 1.000.000 მანეთი, 1965-1969 წლებში — 1.900.000 მანეთი, 1970-1974 წლებში — 9.900.000 მანეთი ყოველწლიურად.

სესხის ობლიგაციები, რომლებიც გამოყიდულ უნდა იქნას 1959-1973 წლებში, განისაზღვრება დაფარვის ყოველწლიური ტირაჟებით. დაფარვის ტირაჟების ვადებს აწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

ის ობლიგაციები, რომლებიც დაფარვის ტირაჟებში არ გასულა, გამოიყიდება 1974 წლის 1 დეკემბრიდან.

9. ობლიგაციები, რომლებსაც მოგება ხვდათ, აგრეთვე ობლიგაციები, რომლებიც გამოყიდულ უნდა იქნას მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით, შეიძლება წარადგინონ გასანაღდებლად 1975 წლის 1 დეკემბრამდე. გასანაღდებლად წარდგენილი ობლიგაციები ამ ვადის გასვლის შემდეგ კარგავენ ძალას და განაღდებული არ იქნებიან.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. ზვერევი.

მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ ახალი სესხის გამოშვებას

★ ★ ★ ★

საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისათვის

გუშინ 5 საათზე სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებმა რადიოთი დიდი ყურადღებით მოისმინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. დადგენილებამ ქარხნის კოლექტივის საერთო მოწონება ჰპოვა.

როგორც კი დამთავრდა რადიოგადაცემა, მუშა-მოსამსახურეებმა სახელდახელო კრებებზე მოიყარეს თავი.

— სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალ სახელმწიფო სესხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღმავლობისა და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. მე სიხარულით ვაწერ სესხზე ხელს და ვალდებულებას ვიღებ ყოველდღიური დავალება 200-250 პროცენტით შევასრულო, სამშობლოს მივცე რაც შეიძლება მეტი და მაღალი ხარისხის პროდუქცია, — განაცხადა საქვაბე საამქროს ხარატმა გ. პავლიაშვილმა.

მექვაბეებს არ ჩამორჩენენ სხვა საამქროების კოლექტივები. მექანიკური საამქროს სტახანოველმა ხარატებმა ი. ჭუმბურიძემ და მ. მამაგეიშვილმა შეკრებილთ მოუწოდეს ერთსულოვნად მოაწერონ ხელი სესხზე და მთავრობის დადგენილების პასუხად პირობა დადეს უკეთ და მაღალნაყოფიერად იმუშაონ.

კრების დამთავრების შემდეგ ქარხნის საამქროებში საერთო აღმავლობით დაიწყო სესხზე ხელმოწერა. 6 საათისათვის ხელი მოაწერა მექანიკური, სამშენებლო, ვაგონების დამშლელი საამქროების ყველა მუშამ.

ხალხის ბედნიერებისათვის

საზეიმოდ მორთულ კლუბში შეიკრიბნენ თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები, რათა მოესმინათ მთავრობის დადგენილება სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სესხის გამოშვების შესახებ. აქ არიან ფაბრიკის ცნობილი მქსოველები, მქსელავები, გამომყვანები, შემასრეები, რომლებსაც გმირული შრომით თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის დიადი შენობის აგებაში.

გაიმართა სახელდახელო მიტინგი.

— ახალი სახელმწიფო სესხი ნიშნავს ახალ სკოლებსა და საბავშვო ბაღებს, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს, საწარმოებს, — განაცხადა მიტინგზე გამოსულმა ქვეოსტატმა შ. თოფურიამ. — ბრიგადის საუკეთესო ხელოვანთა ბრიგადა ამ ოთხ თვეში 115 პროცენტით, ანადგურების ნაყოფიერება გავზარდოთ 0,5 პროცენტით და სამშობლოს მივცეთ გეგმაზე 1,5 პროცენტით მეტი პირველი ხარისხის ქსოვილი.

— აღფრთოვანებით ვაწერ ხელს ახალ სესხზე, — ამბობს მრავალდაზგოსანი მქსოველი ე. არათანაშვილი, — რადგან ვიცი, რომ იგი ჩვენსავე კეთილდღეობას მოხმარდება. პირობას ვიძლევი თვიური გეგმები შევასრულო 110-112 პროცენტით, მეტი რაოდენობით გამოვუშვა მაღალი ხარისხის ქსოვილები.

მიტინგის დამთავრების შემდეგ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა ერთსულოვნად მოაწერეს ხელი სესხზე.

მშვიდობიანი მშენებლობის სესხი

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის დადგენილებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. ფაბრიკებში და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიმართა მთავრობის დადგენილებისადმი მიძღვნილი სახელდახელო კრებები.

სტალინის სახელობის სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე დამტენი საამქროს მოწინავე მუშამ რაისა ბიკადოროვამ განაცხადა:

— ახალი სესხი, ისევე როგორც ყველა სხვა სესხი, მოხმარდება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, ხალხთა კეთილდღეობის დონის ამაღლებას. ამიტომ უდიდესი სიხარულით ვაძლევ ჩემს შრომითს დანაზოგს საბჭოთა სახელმწიფოს. მან იკისრა წლიური დავალება 180-200 პროცენტით შეასრულოს და გასულ წელთან შედარებით 4,5 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება.

უდიდესი აქტივობით და ორგანიზებულად დაიწყო ახალ სესხზე ხელმოწერა ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის, საკონსერვო ქარხნის, საკონდიტრო ფაბრიკის და სხვა საწარმოებში.

აჭარის მშრომელთა სიტყვა

ბათუმი. (საკ. კორ.). ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში, ახალმშენებლობებზე და სასწავლებლებში დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში დაიწყო სესხზე ხელმოწერა.

ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი კრებები გაიმართა სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის საამქროებსა და განყოფილებებში.

№ 1 საამქროს მოწინავე ზეინკალმა ი. რუსიძემ, ოპერატორმა ი. შფერდლინმა, ოპერატორის თანაშემწემ ი. მიქელაძემ და სხვებმა მხურვალედ მოიწონეს მთავრობის დადგენილება ახალი სესხის გამოშვების შესახებ და საამქროს კოლექტივის სახელით იკისრეს ივნისის გეგმა 102,5 პროცენტით შეასრულონ და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცენ ათასობით ტონა ძვირფასი ნავთობპროდუქტები.

ტყავის ქარხნის კოლექტივის კრებაზე გამოსულმა მოწინავე მუშამ — ტყავის გადამჭიმავმა ვ. სვანიძემ, მუშა ი. იანკელევიჩმა პირობა დასდეს ვადამდე შეასრულონ წლიური დავალებები.

მაღალი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა სესხზე ხელმოწერისადმი მიძღვნილმა კრებებმა ქალაქის ყველა საწარმო-დაწესებულებაში.

დიდი აღმავლობით მიმდინარეობს ახალ სესხზე ხელმოწერა აჭარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალ სესხზე ხელმოწერა. 1. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მეორე მექანიკური საამქროს მოწინავე მუშაკები პ. მიასნიკოვი (მარცხნივ) და ა. ცერცვაძე ხელს აწერენ სესხს. 2. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი, სტალინური პრემიის ლაურეატი გ. ძოწენიძე (მარცხნიდან მესამე) ხელს აწერს სესხს. 3. სესხზე ხელმოწერა დიმიტროვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში.

ფოტო გ. ვახტანგაძის, ვ. ზარიძისა და შ. გოქაძისა.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობა

8 ივნისს საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა საკავშირო პროფსაბჭოსა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

პირველი გამოვიდა გორკის საავტომობილო ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ვ. მაქსიმოვი.** თავისი საწარმოს კოლექტივის მაგალითით იგი ცხადყოფს დიდ ცვლილებებს საბჭოთა ადამიანების კულტურულ დონეში. ახლა ქარხნის მუშათა 60 პროცენტს აქვს 7 და 10 კლასის განათლება. სხვადასხვა სასწავლებელში მეცადინეობს 3.600-ზე მეტი კაცი. ბევრი მუშა ცოდნის დონით მიუახლოვდა ინჟინრებსა და ტექნიკოსებს.

ტრიბუნაზეა აზერბაიჯანის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ტ. ა. თაიროვა.** პროფკავშირების მუშაობაში სერიოზული ნაკლი, ამბობს იგი, ის არის, რომ ისინი ნაკლებად ცდილობენ შეისწავლონ და გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება. არის ისეთი ფაქტები, როცა საწარმო დიდხანს მუშაობს რაღაც ისეთი ნაწარმის ათვისებაზე, რომელიც სხვა ქალაქებში უკვე ათვისებულია. ორატორი წინადადებას იძლევა მოეწყოს გამოცდილების ფართოდ გაზიარება მრეწველობისა და საწარმოების მონაწილეობა დარგებს შორის საკავშირო მასშტაბით.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ყრილობის მისასალმებლად მოვიდა მოსკოველ პიონერთა და მოწაფეთა დელეგაცია. დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან დედაქალაქის ნორჩ მოქალაქეებს.

ეგებერთელა დარბაზში გაისმის ფანფარების ხმები და ბავშვთა წკრიალა ხმა. საბჭოთა ბავშვები, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ბავშვები, მხურვალე მადლობას უძღვნიან საბჭოთა ხალხს, კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას დიდი ზრუნვისათვის მოზარდ თაობაზე:

გმადლობთ ჩვენი ფართო
სკოლებისათვის!
მხიარული საბანაკო
დასვენებისათვის!
მოსკოვის კრემლში ნაძვა-
ხისათვის!
ჩვენს მიწაწყალზე
ბედნიერებისათვის!

ბავშვებს ხელში აქვთ ცოცხალი ყვავილების თაიგულები და ტექნიკურ წრეებში შესრულებული სხვადასხვა მოდელები. მოწაფეებმა ყრილობის დელეგატებს მიართვეს თავიანთი საჩუქრები.

ბავშვები დიდხანს არ სტოვებენ კრემლის დიდ სასახლეს. ისინი შეიძლება ვნახოთ გორკის დარბაზშიც და წახნაგოვან პალატაშიც, მეფე-ზარბაზანთან და მეფე-ზართან. საბჭოთა ბავშვები შეხვდნენ უცხოელ სტუმრებს. ბავშვებმა უცხოელ მეგობრებს აჩუქეს პიონერული ყელსახვევები.

დელეგატებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ივანოვოს დიდი მანუფაქტურის მქსოველის პროფჯგუფორგის **მ. პ. კატალოვას** სიტყვა. მან ილაპარაკა თავისი მუშაობის გამოცდილებაზე. პროფჯგუფი დიდ ყურადღებას აქცევს სოციალისტური შეჯიბრების მოწყობას, შრომის მოწინავე მეთოდების შესწავლასა და გამოყენებას.

— მე შემიძლია ვუპატაკო ყრილობას, — დამსწრეთა ტაშის გრიალში განაცხადა ამხ. კატალოვამ, — რომ ჩვენმა პროფკავშირულმა ჯგუფმა სოციალისტური ზალდებულება დაწესებულ გადაზე ადრე შეასრულა. ახლა უკვე დაზგების 92 პროცენტი მუშაობს საპროექტო სიმძლავრით. ქვეყანას გეგმის გადამეტებით მივეცით 17.864 მეტრი ქსოვილები.

სიტყვა ეძლევა სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის თავმჯდომარეს ამხ. **ლაი ჟო-იუის.**

დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენლის გამოჩენას ტრიბუნაზე დელეგატები და სტუმრები მქუხარე ტაშით ხვდებიან. ჩინეთის პროფკავშირთა დავალებთ ლაი ჟო-იუი გულითად ძმურ სალამს უძღვნის ყრილობის დელეგატებს და მათი სახით მთელ საბჭოთა ხალხს.

— ჩინელმა მუშებმა და მთელმა ჩინელმა ხალხმა, — ამბობს ლაი ჟო-იუი, — კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირის ძლიერება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძლიერებაა, რომ იგი ემსახურება მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ინტერესებს, მთელი კაცობრიობის ინტერესებს. ჩინეთის მუშათა კლასს, რომელიც ამ ქვეყნის ხელმძღვანელი კლასი გახდა, სავსებით შეგნებული აქვს, რომ იგი შრომობს თავისთვის, თავისი ბედნიერი ცხოვრებისათვის. ამ უკანასკნელ წლებში ჩინეთის პროფკავშირები წარმატებით აწყობენ შრომითს შეჯიბრებას, რომელშიც მონაწილეობას იღებს მუშა-მოსამსახურეთა 80 პროცენტზე მეტი. გაჩნდა შრომის ათასობით წარჩინებული.

ჩინელ ხალხს უდიდეს ღირსებად მიაჩნია, რომ მას ისეთი გულწრფელი მეგობარი ჰყავს, როგორიც საბჭოთა კავშირია. დიდი მეგობრობა საბჭოთა და ჩინელ ხალხთა შორის საიმედო გარანტიაა ახალი აგრესიის წინააღმდეგ, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრი დასაყრდენია. ჩინეთის პროფკავშირებს თავიანთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ საბჭოთა და ჩინელი ხალხების მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება.

ლაი ჟო-იუი ჩინელი და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის ნაშვნად სსრ კავშირის პროფკავშირთა ყრილობას უძღვნის დიდ წერილ დროშას.

თავმჯდომარე — საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი **ი. ვ. გოროშკინი** ყრილობის სახელით მზურვალე მადლობას უძღვნის სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის დელეგაციას გულთბილა მისალმებისათვის.

8 ივნისის საღამოს სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ტრესტ „სარატოვგაზის“ ოპერატორმა **ე. გ. გოლიშნიკოვამ,** ყაზახეთის სსრ კულტანას ოლქის ვლადიმაროვის მტს-ის რაზმის უფროსმა **დ. ვ. ვასიუტოჩკინმა,** ვოლგა-კასპის აუზის თევზის ქარხნების სამედიცინო-სანიტარული ნაწილის მთავარმა ექიმმა **პ. ნ. ბოროვკოვმა,** ლატვიის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **კ. ი. ვოლტმანმა.** (საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ მ. ი. კუჭავას სიტყვა

(სოხუმის რაიონის ზრუმის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეს სესია მიმდინარეობს საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობის ვითარებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის გარშემო მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელების მჭიდრო დარაზმულობის ვითარებაში.

1954 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც შემოტანილია სესიის განსახილველად, მკაფიოდ ასახავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას.

ჩვენი ბიუჯეტი წარმატებით რომ შესრულდეს როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში, საჭიროა უზრუნველყოთ 1954 წლის სახელმწიფო გეგმით დასახული ყველა სახალხო-სამეურნეო ღონისძიების სრული და დროული განხორციელება.

საჭიროა კრიტიკულად განვიხილოთ მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მუშაობა, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობა, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებების, სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის საქმიანობა, აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი და უზრუნველვყოთ პარტიისა და მთავრობის დირექტივების წარმატებით შესრულება.

1953 წელს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ 101,5 პროცენტით შეასრულა, რაც 12 პროცენტით აღემატება 1952 წლის სამრეწველო პროდუქციის მოცულობას. ამასთან მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო მოხმარების საგნების წარმოება.

მაგრამ ზოგიერთმა სამინისტრომ და საკავშირო ბევრმა საწარმომ დადგენილი გეგმები ვერ შეასრულა.

1953 წელს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულა საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ. ამ სამინისტროს 24 საწარმოდან გეგმა შეასრულა მხოლოდ 15-მა. სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ 1953 წლის გეგმა 90 პროცენტით შეასრულა. საერთოდ რესპუბლიკის 1.254 სამრეწველო საწარმოდან 439 საწარმომ, ანუ 35 პროცენტმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სამრეწველო სამინისტრო და უწყება კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. ამის შედეგად საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1954 წლის ოთხ თვეში საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობამ მხოლოდ 98,4 პროცენტით შეასრულა.

ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო: მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა მან 77,7 პროცენტით შეასრულა. ამასთან ჩაშლილია პროდუქციის ძირითადი სახეების—აგურის, კრამიტის, კირის გამოშვება. სამინისტროს ხელმძღვანელობა და პირველ რიგში მინისტრი ამხ. მინდიაშვილი და მისი მოადგილეები ამხ. ხომერიკი და ალავიძე ვერ უზრუნველყოფენ საწარმოო სიმძლავრეთა ჯეროვან გამოყენებას და საწარმოებში შრომის სწორ ორგანიზაციას. სამინისტრო კვლავ ზარალით მუშაობს. სამინისტროს ხელმძღვანელობამ უფრო სერიოზულად უნდა იფიქროს მუშაობის ძირეულ გარდაქმნაზე.

მეტ წილ ჩვენს საწარმოებში სრულიად არასაკმაო ყურადღება ექცევა მოწყობილობის მაქსიმალურად გამოყენებას. ნათქვამი შეეხება, მაგალითად, თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატს.

ცნობილია, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. 1954 წლის პირველ კვარტალში შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალება ვერ შეასრულეს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროსა და ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს საწარმოებმა.

მრეწველობის მუშაობაში დიდ ნაკლს წარმოადგენს გეგმის შეუსრულებლობა შრომის ნაყოფიერების დარგში. ერთ მუშაზე პროდუქციის გამომუშავების გეგმა 1954 წლის პირველ კვარტალში ვერ შეასრულეს სასურსათო საქონლის მრეწველობის, ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა საწარმოებმა.

შემდეგში აღარ შეიძლება შეეფერიგდეთ ასეთ ჩამორჩენას, ვინაიდან სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარების მთავარი და გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება.

მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები უხეშად არღვევენ პროდუქციის დადგენილ სტანდარტებსა და ასორტიმენტს. მაგალითად, 1954 წლის პირველ კვარტალში თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას უნდა გამოეშვა 360 ათასი მეტრი დაჩითული ტილო, გამოუშვა მხოლოდ 34 ათასი მეტრი; სამაგიეროდ ისეთი ტილო, რომელსაც ნაკლები გასავალი აქვს, — გლუვი ტილო, — რომლის გამოშვების გეგმა 200 ათასი მეტრი იყო, ფაბრიკამ 519 ათასი მეტრი გამოუშვა.

ამხანაგო დეპუტატებო! იმ უდიდესი ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც დასახულია ჩვენი მრეწველობის წინაშე, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალი მშენებლობის საკითხებს.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენ ჯერჯერობით აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს. საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ხაზით კაპიტალდაბანდებათა გეგმა, რაც 1954 წლისათვის დადგენილი იყო 647,8 მილიონი მანეთის მოცულობით, 4 თვეში შესრულდა 142,2 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც წლიური გეგმის 22 პროცენტს შეადგენს.

ჩვენში მშენებლობებზე ჯერ კიდევ სუსტად ინერგება ინდუსტრიული მეთოდები. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საპროექტო ორგანიზაციებიც.

განსაკუთრებით შეუწყნარებელი ჩამორჩენა გვაქვს სამინაო მშენებლობაში. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სამინაო მშენებლობაზე ათვისებულია 57.800 ათასი მანეთი, ანუ წლიური გეგმის 17 პროცენტი; ამავე პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაცემულია მხოლოდ 19.100 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ წლიური გეგმის 8 პროცენტი.

რესპუბლიკის 14 სამინისტროდან, რომლებიც სამინაო მშენებლობას ეწევიან, პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა მხოლოდ 3 სამინისტრომ.

სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა და, უწინარეს ყოვლისა, სამინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრმა ამხ. ჯაბუამ, ქუთაისმშენის უფროსმა ამხ. მაღრაძემ, გადასახლებადასახლების სამშენებლო ტრესტის უფროსმა ამხ. ქარჩავამ და სხვებმა, რომლებმაც სახელმწიფო გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს, უნდა შეიგნონ, რომ სამინაო მშენებლობა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმეა.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის ძირითად წყაროს ბრუნვის გადასახადის ანარიცხები წარმოადგენს. სწორედ ამიტომ შემოსავლის ამ სახეს უადრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიაპყრონ როგორც საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, ისე სხვა სამინისტროებმა და განსაკუთრებით საკავშირო ორგანიზაციებმა.

მაგრამ მთელი რიგი ორგანიზაციები აშკარად არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე. ესენი არიან „გლავმიასოტორგი“ (მმართველი ამხ. ხოშტარია), რომელმაც ბიუჯეტს 45 მილიონი მანეთი დააკლო, საქართველოს ლუდისა და ლიმონათის ტრესტი (მმართველი ამხ. ჩუბინიშვილი), რომელმაც ბიუჯეტს მიმდინარე წლის 4, 5 თვეში დააკლო 8.400 ათასი მანეთი, თამბაქოაუქრობა (მმართველი ამხ. აბესაძე) — 11.600 ათასი მანეთი, თევზის ვაჭრობის მთავარი სამმართველო (მმართველი ამხ. შენგელია) — 4.500 ათასი მანეთი და სხვები. გეგმას მეორე კვარტალშიც ვერ ასრულებენ: „ზაგოტზერნო“ (მმართველი ამხ. წულაია), „გლავსახარტორგი“ (მმართველი ამხ. სანაკოევი), „გლავტექსტილტორგის“ ბაზა (მმართველი ამხ. რუხაძე) და სხვები.

ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, აგრეთვე იმ სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, რომლებიც ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე, სერიოზული დასკვნები უნდა გააკეთონ, შეცვალონ თავიანთი აშკარად არასწორი დამოკიდებულება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი.

ჩვენში თვიდან თვემდე იზრდება ვაჭრობა. მაგრამ საქონელბრუნვის გეგმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, აგრეთვე აპრილში არ შესრულებულა.

მრეწველობა კვლავ უხეშად არღვევს სავაჭრო ქსელისათვის საქონლის მიწოდების დადგენილ ასორტიმენტს.

საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებში შეუწყნარებელი უყაირათოობაა; მაგალითად, რუსთავვაჭრობამ 1953 წელი 1.625 ათასი მანეთის ზარალით დამთავრა, სტალინირვაჭრობამ — 1.171 ათასი მანეთის ზარალით. მთლიანად საქართველოს ვაჭრობის სამინისტრომ 1953 წელი მიმოქცევის ხარჯებში 6,5 მილიონი მანეთის გადახარჯვით დამთავრა და 13,5 მილიონი მანეთი ზარალი აქვს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მუშაკებმა უნდა უზრუნველყონ დადგენილი გეგმების შესრულება, მნიშვნელოვნად გაუუმჯობესონ მომხმარებელთა მომსახურება და უთუოდ შეასრულონ ყველა ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია თავის განვითარებაში საქართველოს სოფლის მეურნეობამ. მოწინავე აგროტექნიკის ბაზაზე საქართველოში შექმნილია თვისებრივად ახალი, მრავალდარგიანი, მექანიზებული სოფლის მეურნეობა. რესპუბლიკაში 2.060 მსხვილი კოლმეურნეობა, 104 მანქანა-ტრაქტორთა სადგური და 88 საბჭოთა მეურნეობაა. მტს-ების რაოდენობა 1953 წელს თითქმის 100 პროცენტით გადიდდა 1940 წელთან შედარებით; ერთიანად გადიდდა ტრაქტორების რაოდენობა. ფართოდ განვითარდა ელექტროფიკაცია.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა გააჩაღეს ბრძოლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მტს-ებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაცილებით უკეთ ჩაატარეს შემოდგომის თესვა. გაზაფხულის თესვა, არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, რამდენადმე გაჭიანურდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად უკეთ ჩატარდა, ვიდრე გასულ წლებში. ჩვენს რესპუბლიკაში მასობრივად პირველად განხორციელდა კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა.

1954 წელი გარდატეხის წელი უნდა გახდეს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, სასოფლო - სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი გადიდებისა

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ახალი სახელმწიფო სესხი

დღეს გაზეთებში გამოქვეყნებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ახალი სესხის — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1954 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ.

ცნობამ ახალი სესხის გამოშვების შესახებ საბჭოთა ადამიანების განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია. ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში მილიონობით საბჭოთა ადამიანი უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ხელს აწერს ახალ სესხს.

სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა მას შემდეგ, რაც რადიოთი გადაცემულ იქნა ცნობა სესხის გამოშვების შესახებ, კვლავ ცხადყოფს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი სამშობლოს ხალხების დიად ერთიანობას.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად დაუცხრომლად შრომობენ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შემოქმედებითი შრომა იქითკენ არის მიმართული, რომ შეასრულონ კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიული დადგენილებანი, რომლებითაც დასახულია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა.

ამას წინათ მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი მოწმობს ჩვენი ქვეყნის სწრაფ ეკონომიურ აღმავლობას და იმის მკაფიო მაჩვენებელია, თუ რა დიდი ნაბიჯი გადადგა ჩვენმა სამშობლომ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შეექვსე სესიამ მიიღო, მოწმობს საბჭოთა საქართველოს, მისი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომ აყვავებას.

ცნობილია, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყაროა სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუწყვეტლივ მზარდი წარმოება, ტრანსპორტის განვითარება და საქონელბრუნვის ზრდა, შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და საწარმოთა რენტაბელობის ამაღლება. 1954 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის საერთო მოცულობიდან შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან ბიუჯეტის ყველა შემოსავლის 86,9 პროცენტი იქნება, მოსახლეობის გადასახადები კი შეადგენენ ბიუჯეტის მთელი შემოსავლის მხოლოდ რამდენიმე პროცენტს, მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში მოსახლეობის გადასახადები ბიუჯეტის საფუძველს შეადგენენ და მთელი თავისი სიმძიმით შრომელებს აწვება.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთ დამატებით წყაროს შეადგენს აგრეთვე მოსახლეობის სახსრები, რომელთა მოზიდვა ხდება ნებაყოფლობითი წესით, სახელმწიფო სესხების გავრცელების გზით.

საბჭოთა სახელმწიფო სესხები ნამდვილი სახალხო სესხებია. სახელმწიფოს სესხად რომ აძლევს თავის სახსრებს, თვითეულმა მშრომელმა იცის, რომ ეს სახსრები გამოყენებული იქნება მისი მშობლიური და მახლობელი საქმისათვის — სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

თვითეულ მუშას, გლეხს, საბჭოთა ინტელიგენტს თავის პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო სესხზე ხელმოწერაში.

კაპიტალისტურ ქვეყნებშიც უშვებენ სახელმწიფო სესხებს, მაგრამ ამ სესხების ბუნება პრინციპულად სხვაა. კაპიტალიზმის ქვეყნებში სესხები ანტიხალხურ ხასიათს ატარებენ. ისინი მშრომელთა დამატებითი ექსპლოატაციისა და გაძარცვის იარაღს წარმოადგენენ. სესხებით მიღებულ სახსრებს იქ ამ კოლოსალური ხარჯების დასაფარავად იყენებენ, რასაც შეიარაღებისათვის, ახალი მტაცებლური ომების მომზადებისათვის ეწევიან.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სესხები მუდამ უდიდეს როლს ასრულებდნენ და ახლაც ასრულებენ. საბჭოთა კავშირში სესხები ავითარებენ საწარმოო ძალებს, ზრდიან საზოგადოებრივ სიმდიდრეს, ხელს უწყობენ ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ აღმავლობას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

სახელმწიფო სესხები მნიშვნელოვან მატერიალურ სარგებლობას აძლევენ ობლიგაციების მფლობელთ. სსრ კავშირის სახელმწიფო სესხებით მოსახლეობას ყოველწლიურად ეძლევა დიდი თანხები მოგების სახით და დაფარვის ტირაჟში გასული ობლიგაციების ნომინალური ღირებულების განაღდების გზით. მაგალითად, წელს გაიმართება მოგებათა 23 ტირაჟი, მათ შორის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ტირაჟები. გარდა ამისა, გაიმართება დაფარვის 4 ტირაჟი; ობლიგაციების მფლობელნი საერთო ანგარიშით 10 მილიარდ 500 მილიონ მანეთს მიიღებენ.

სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ღონისძიებათა დასაფინანსებლად მოსახლეობის სახსრების მოზიდვის მაზნით საბჭოთა მთავრობამ გამოუშვა ახალი სესხი — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1954 წლის გამოშვება) 16 მილიარდი მანეთის ოდენობით.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1954 წლის გამოშვება), ისევე როგორც წინა სესხი, მომგებიანია: მთელი შემოსავალი ამ სესხით გაიცემა მოგებათა სახით; მოგებათა საერთო თანხა სესხის 20 წლის ვადაში წელიწადში საშუალოდ 3 პროცენტს შეადგენს.

სესხი შედგება 500, 200, 100, 50, 25 და 10 მანეთის ღირებულების ობლიგაციებისაგან, ძირითადია 100-მანეთიანი ობლიგაცია.

მოგება დაწესებულია 10.000, 5.000, 1.000, 500 და 200 მანეთი ასმანეთიან ობლიგაციაზე, მისი ნომინალური ღირებულების ჩათვლით.

ყოველ წელიწადს, დაწყებული 1955 წლიდან, გაიმართება ამ სესხის მოგებათა ორი ტირაჟი, სულ კი 20 წელიწადში — 40 ტირაჟი. სესხის 20 წლის ვადის განმავლობაში, ისევე როგორც წინა სესხით, იგებს ყველა ობლიგაციის 35 პროცენტი, ხოლო ობლიგაციების დანარჩენი 65 პროცენტი მფლობელებს აუნაზღაურდებათ ნომინალური ღირებულებით.

ობლიგაციები, რომლებსაც მოგება არ ხვდება, იფარება (გამოისყიდება) ნომინალური ღირებულებით 1959 წლის 1 დეკემბრიდან სესხის ვადის დამთავრებამდე დარჩენილი 15 წლის განმავლობაში.

ახალი სახელმწიფო სესხი, ისევე როგორც წინა სესხები, მოსახლეობაში ხელმოწერით ვრცელდება. ხელმოწერა ეწყობა საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სარეწაო არტელებში, სახლმმართველობებსა და სხვა ორგანიზაციებში.

სესხის გავრცელების ძირითადი პრინციპია მასში ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მონაწილეობის სრული ნებაყოფლობა. სესხზე ხელმოწერა მუშებს შორის, ისევე როგორც შარშან, წარმოებს ორი კვირის გამომუშავების ანგარიშით, ე. ი. თვიური გამომუშავების 46,2 პროცენტის ოდენობით, ხოლო მოსამსახურეთა და სამხედრო მოსამსახურეთა შორის — ნახევარი თვის გამომუშავების, ე. ი. თვიური ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით. ამ ფარგლებში თვითეულ მუშას და მოსამსახურეს შეუძლია ხელი მოაწეროს რა თანხაზეც სურს. საწარმოებს, დაწესებულებებსა და საფინანსო ორგანოებს აკრძალული აქვთ მიიღონ ხელმოწერა მუშებისაგან ორი კვირისაზე მეტ გამომუშავებაზე, ხოლო მოსამსახურეთა და სამხედრო მოსამსახურეთაგან ნახევარი თვისაზე მეტ გამომუშავებაზე.

მუშებს, მოსამსახურეებს და სარეწაო არტელების წევრებს ხელმოწერის შენატანები გამოექვითებათ როგორც ავანსად მიცემული თანხებიდან, ისე ხელფასის საბოლოო ანგარიშსწორებით მიცემული თანხებიდან. ხელმოწერის პირველი შესატანი გადახდილ იქნება 1954 წლის ივნისის მეორე ნახევრის გამომუშავებიდან, უკანასკნელი — 1955 წლის აპრილის პირველი ნახევრის გამომუშავებიდან.

გლეხები მათ მიერ შეძენილი ობლიგაციების ღირებულებას გადაიხდიან ნაღდ ფულად სასოფლო საბჭოების სესხის რწმუნებულთა მეშვეობით, თავიანთი სურვილისამებრ, ხელმოწერისთანავე ან ნაწილ-ნაწილ 10 თვემდე ვადის განმავლობაში.

ხელისმომწერლებს სესხის ობლიგაციებს აძლევენ საწარმოები, დაწესებულებები, არტელები უკანასკნელი შესატანის გადახდისთანავე. თუ ხელისმომწერი სესხზე თავისი ხელმოწერის სრულ გადახდამდე წავიდა კოლექტივიდან, მას ობლიგაციები ეძლევა გადახდილ შენატანთა თანხის ოდენობით. გლეხებს ობლიგაციებს აძლევენ სასოფლო საბჭოების რწმუნებულები ხელმოწერის თანხის მთლიანად გადახდისთანავე.

ახალი სესხის გავრცელება დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ღონისძიებაა, რომელიც მოითხოვს ფართო მასობრივ ახსნა-განმარტებითს და ორგანიზაციულ მუშაობას. ამ საქმეში მაორგანიზებელი როლი ეკუთვნით პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს. სესხის ხაზით მუშაობაში დიდი ადგილი უჭირავთ სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმისათვის ხელშემწყობ კომისიებს და სასოფლო საბჭოების რწმუნებულებს, რომლებიც სესხზე ხელმოწერას უშუალოდ ახორციელებენ მშრომელთა შორის.

ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილ კრებებსა და მიტინგებზე, აგრეთვე საუბრებსა და რადიოგადაცემებში მშრომელებს ფართოდ უნდა განვუმარტოთ, რომ ახალი სესხი ხელს შეუწყობს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, მისი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდას, ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას და მათი ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებას.

სესხზე ხელმოწერის ორგანიზებულად ჩატარება და ამ ხელმოწერით სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების თავის დროზე შემოსვლის უზრუნველყოფა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ამოცანაა.

კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ გზას გვინათებს მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრება. ჩვენი სამშობლო წინ მიჰყავს ბრძოლებში გამობრძმედილ გმირ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

ეჭვს გარეშეა, რომ მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს ახალ სესხს და ამით ერთხელ კიდევ ცხადყოფს თავის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, თავის უსაზღვრო ერთგულებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

ახალ სახელმწიფო სესხზე ერთსულოვნად ხელმოწერით კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯი.

ბ. ჩხეიძე,
საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ მ. ი. კუჭავას სიტყვის დასასრული

და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს, რითაც მნიშვნელოვნად აიხსნება მისი მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დარგების ჩამორჩენა.

ბევრი ნაკლია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობაში. ჯერ კიდევ ყველა მტს-ი როდი გამხდარა გადამწყვეტ ძალად სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. სუსტად წარმოებს შრომატევადი პროცესების მექანიზაცია მეცხოველეობაში, მრავალწლიანი და სათოხნი კულტურების დამუშავებაში.

ამჟამად მანქანა-ტრაქტორთა სადგურების წინაშე დგას პასუხსაგები, საბრძოლო ამოცანა — სანიმუშოდ მოემზადონ მოსავლის დროზე აღების უზრუნველსაყოფად.

წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მოსავლის აღებაზე 1.137 კომბაინი იმუშავებს. მტს-ებში კი კომბაინების რემონტი და სხვა მოსამზადებელი სამუშაოები ამჟამად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 20 მაისისათვის კომბაინების რემონტის გეგმა 63 პროცენტით იყო შესრულებული. ამოცანა ის არის, რომ გადაჭრით მოვუღოთ ბოლო ჩამორჩენას მოსავლის აღებისათვის მზადებაში და თავთავიანი კულტურების მოსავალი ავიღოთ შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ.

სოფლის მეურნეობის დარგში დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, ისევე როგორც კომუნისტური აშენებლობის თვითეული ამოცანის გადაწყვეტა, დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა კადრებზე, ადამიანებზე.

საჭიროა სწორად გამოვიყენოთ ეს კადრები, ყოველმხრივი დახმარება გავუწიოთ მათ, ვიზრუნოთ მათი შემდგომი ზრდისათვის ცოცხალ, კონკრეტულ სამუშაოზე.

ცნობილია, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გადამწყვეტი როლი ეკუთვნის არტელის საწარმოო ცხოვრებაში. ამიტომ ჩვენი საბჭოთა ორგანოების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა უზრუნველყონ კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა შემადგენლობის შემდგომი განმტკიცება. ამას კი მივაღწევთ იმით, თუ დავაწინაურებთ საქმიანი და პოლიტიკური მხრივ შემოწმებულ სპეციალისტებს, რომლებსაც უმაღლესი და სამუალო სასოფლო სამეურნეო განათლება აქვთ, აგრეთვე სოფლის მეურნეობის კარგად მცოდნე პრაქტიკოსებს, რომლებსაც ხელმძღვანელი და ორგანიზატორული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, შეუძლიათ უნარიანად და კვალფიციურად უხელმძღვანელონ მსხვილ საკოლმეურნეო წარმოებას.

უეჭველია, რომ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობა, მთელი ქართველი ხალხი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით პარნათლად შეასრულებს დასახულ ამოცანებს და ღირსეულ წვლილს შეიტანს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1954 წლის ბიუჯეტის პროექტით მეცნიერების, განათლების, ხელოვნების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულია 1.766.286 ათასი მანეთი — 74.628 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე შარშან დაიხარჯა.

სახალხო განათლებისათვის განკუთვნილ ასიგნობათა ყოველწლიური ზრდა მოწმობს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხებს ენიჭება.

ჩვენი სკოლის მიღწევები მნიშვნელოვანია. მაგრამ დუმილით ვერ ავუვლით გვერდს იმასაც, რომ მის მუშაობაში ჯერ კიდევ საკმაო ნაკლოვანებებია, რომ უდიდესი სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო გამოჰყოფს, ყოველთვის როდი იხარჯება რაციონალურად.

საჭიროა დიდ დახმარებას გუწევდეთ სკოლას, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. კერძოდ, ასეთი დახმარება საჭიროა სასკოლო მშენებლობაში.

ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია ასიგნობანი მშრომელთა სამედიცინო მომსახურებისათვის, რომლებიც წლითიწლობით დიდდება. მარტო შარშან საქართველოში ჯანმრთელობის დაცვაზე დახარჯა 440 მილიონი მანეთი. ყოველივე ამის შედეგად რესპუბლიკაში თითქმის გაქრა ბევრი დაავადება. საკმარისია ითქვას, რომ მალარიით დაავადება 1953 წელს ასჯერ და უფრო მეტად შემცირდა 1921 წელთან შედარებით.

ამასთან ერთად ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მისი ადგილობრივი, განსაკუთრებით სოფლად არსებული ორგანოების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ჯერ კიდევ ცოტაა საკოლმეურნეო სამშობიარო სახლები. ცუდად იყენებენ ჯანმრთელობის დაცვისათვის ასიგნებულ სახსრებს.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დარგში არსებული ნაკლოვანებანი მოითხოვენ ჯანმრთელობის დაცვისადმი ხელმძღვანელობის სტილის ძირეულ შეცვლას, საქმისადმი კანცელარიულ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტების აღმოფხვრას.

ცნობილია, რომ სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე პარტია დიდი ლენინის მითითებათა მიხედვით უდიდეს მუშაობას ეწეოდა და ეწევა საბჭოთა სახელმწიფო აპარატის გასაუმჯობესებლად და გასაიაფებლად. ამიტომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არა გვაქვს უფლება შევურიგდეთ ისეთ ფაქტებს, როცა აპარატის მუშაკები მთავარ ყურადღებას აქცევენ ქადალდების თხზვას კონკრეტული, ცოცხალი მუშაობის საზიანოდ.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის ზოგიერთა სამინისტროს, უწყების, საბჭოთა და, განსაკუთრებით, საფინანსო ორგანოების, ხელმძღვანელები ჯეროვან ინიციატივასა და სიმტკიცეს ვერ იჩენენ საბჭოთა აპარატის გამარტივებისა და გაიაფებისათვის ბრძოლაში.

სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოუქნელი სტრუქტურა ითვლის 80-მდე მთავარ სამმართველოს, სამმართველოს, განყოფილებას, ინსპექციას და სხვ. ამის შედეგად ყოველ რიგით მუშაკზე (ეკონომისტზე, აგრონომზე, ზოოტექნიკოსზე) ოთხი უფროსი მოდის.

საფუძვლიანად უნდა გადაისინჯოს აგრეთვე კულტურის სამინისტროს შტატები, სადაც განსაკუთრებით შესამჩნევია საანგარიშო-საბუხჰალტრო აპარატის მოუქნელი ხასიათი, ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს და მისი ტრესტების შტატები და სხვ.

საკმაოდ ბევრია ნაკლი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუშაობაშიც. ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ოპერატიულად ვერ ვხელმძღვანელობთ სამინისტროებსა და უწყებებს, ვერ მივაღწიეთ იმას, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების დაგეგმვაში აღმოგვეფხვრა სერიოზული ნაკლოვანებანი, ნაკლებად ვუწევთ კონკრეტულ, საქმიან დახმარებას ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს, კოლმეურნეობებსა და მტს-ებს, სკოლებსა და თეატრებს.

აქ, ამ სესიაზე, კამათში გამოსული დეპუტატები სავსებით სამართლიანად, დამსახურებულად აკრიტიკებდნენ ჩვენს მუშაობას, სამინისტროებისა და სხვა რესპუბლიკური დაწესებულებების მუშაობას.

ნება მიბოძეთ აღვუთქვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, რომ მინისტრთა საბჭო თავის პრაქტიკულ მუშაობაში გაითვალისწინებს ამ კრიტიკულ შენიშვნებს და მიიღებს ყველა ღონისძიებას არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამხანაგო დეპუტატებო! სესიის განსახილველად წარმოდგენილ რესპუბლიკის ბიუჯეტში მკაფიოდ არის ასახული ის მუდმივი მზრუნველობა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ქართველი ხალხისადმი იჩენენ.

ამ მზრუნველობის ერთ-ერთ მკაფიო მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ენერგომშენებლობა საქართველოში.

1954 წლის 10 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში ახალი ელექტროსადგურების მშენებლობისა და მოქმედი ელექტროსადგურების გაფართოების შესახებ. ეს დადგენილება ითვალისწინებს მშენებლობის პროცესში მყოფი ჰიდროელექტროსადგურების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადების შემცირებას და ახალი სადგურების მშენებლობის დაწყებას.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის პასუხად საქართველოს მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მშობლიური საბჭოთა მთავრობის გარშემო.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, დიდი რუსი ხალხის მეგობრული დახმარებით, საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდიან წინ კომუნიზმის მშენებლობის გზით.

დეპუტატ შ. ვ. ხიდაშელის სიტყვა

(ჭიათურის რაიონის სვერის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრად გაუმჯობესება, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავება, ქალაქ ჭიათურის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ახალი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით უპასუხეს. მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

მარგანეცის გამოღების 1953 წლის გეგმა შესრულებულ იქნა 102,8 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა — 103,9 პროცენტით. გასულ წელს მარგანეცის ტრესტის ყველა მაღაროთა სამმართველომ გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მარგანეცის დამზადებისა და სასაქონლო პროდუქციის მიმდინარე წლის 4 თვის გეგმა.

ჭიათურა თანდათან უფრო კეთილმოწყობილი და ლამაზი ხდება. ქალაქის ქუჩებს, აშშენებს მარგანეცის მრეწველობის მუშაკთა მრავალსართულიანი კეთილმოწყობილი სახლები, საყოფაცხოვრებო კომბინატები, სახელმწიფო თეატრი, მიმდინარეობს ახალი საავადმყოფოს მშენებლობა, სასწავლო წლის დაწყებისათვის დამთავრდება საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა. დამთავრდა ჭიათურა-პერევისის სახალხო საჰაერო-სამგზავრო გზის მშენებლობა. უმოკლეს დროში საექსპლოატაციოდ გადაეცემა მარგანეცის მუშაკთა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. მთავრდება 70-ბინიანი სახლის მეორე კორპუსის მშენებლობა. ლენინის სახელობის მაღაროს მუშებისათვის წელს დამთავრდება ახალი ქალაქის მშენებლობა.

მარგანეცის ტრესტის სახსრებით აშენდება კულტურის სასახლე, პიონერთა სასახლე, მუსიკალური და საშუალო სკოლების შენობა, კინოთეატრი.

ხიდათან მაღლდება მაღაროელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე. ასეულობით მუშის წლიური გამომუშავება 30-40 ათას მანეთს აღწევს.

მარგანეცის მრეწველობაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ჭიათურის მაღაროელები სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული მოძმე უკრაინის რესპუბლიკის ნიკოპოლის მარგანეცის მაღაროელებთან.

ჭიათურის მარგანეცის კოლექტივს მეტი წარმატებანი ექნებოდა, მის მუშაობას ხელს რომ არ უშლიდეს დღემდე მოუგვარებელი ზოგიერთი საკითხი. მაგალითად, მაღაროები, გამაუხვებელი ფაბრიკები და სხვა ობიექტები ხშირად ცდებოდნენ ელექტროენერგიის ამორთვის გამო, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი ღონისძიებები ხორციელდება სანგრევებზე მარგანეცის დატვირთვის მექანიზაციისათვის, მაღაროთა სამართველოები სათანადოდ არ მარაგდებიან მასალებითა და მოწყობილობით. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მოუქნელი მუშაობით ამ უკანასკნელ ხანებში ფერხდება დამზადებული მარგანეცის დროული გაზიდვა, რაც ხშირად მაღაროებისა და გამაუხვებელი ფაბრიკების მოცდენას იწვევს. მარტო გასულ წელს ამიერკავკასიის რკინიგზამ დაგვაკლო 2.586 ვაგონი. სავალალო მდგომარეობაშია ჭიათურის ვაგზალი.

მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურამშენმა მუშაობა საგრძნობლად გააუმჯობესა, მას მაინც სერიოზული ჩამორჩენა აქვს მშენებლობის საქმეში. ეს გამოწვეულია ერთი მხრივ მასალების შემოუზიდველობით და მეორე მხრივ მუშახელის სიმცირით.

მეხუთე წელია, რაც ჭიათურაში მექანიკური პურის საცხობი შენდება და მის დამთავრებას არაფერი ემეკვლა. საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრმა ამხ. ზ. კეცხოველმა ამ საქმეს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.

სესიას უნდა მოვახსენო, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და კულტურის სამინისტრო სკოლებისა და კულტურულ დაწესებულებათა შენობების შენახვასა და მოვლას სრულიად უყურადღებოდ ეკიდებიან.

სერიოზული ნაკლოვანებანია საზოგადოებრივი კვების საქმეში. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო არადამაკმაყოფილებლად ზრუნავს ჭიათურელი მაღაროელების მომარაგებისათვის.

ძალიან ცოტას ეხმარება ჭიათურას საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროც.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია სესიის განსახილველად, სავსებით შეესაბამება იმ ღონისძიებათა დაფინანსებას, რაც დასახულია ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. წინადადება შემომაქვს, რომ სესიამ დაამტკიცოს ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი.

ინდოჩინეთის საკითხის განხილვისათვის

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის განცხადება ჟენევის თათბირზე 1954 წლის 8 ივნისს

ბატონო თავმჯდომარე, ბატონო დელეგატებო!

ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენა ჟენევის თათბირის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. ინდოჩინეთის ხალხები თავიანთ იმედებს უკავშირებენ ჟენევის თათბირს და ფიქრობენ, რომ იგი თავის წვლილს შეიტანს ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხთა მშვიდობის, დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ერთიანობის უზრუნველყოფის საქმეში. ინდოჩინეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარეზეა მთელი მსოფლიოს ხალხთა სიმპათია. მათი ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის უნდა ცნოს ამ თათბირმა. ჟენევის თათბირის მონაწილეებს აკისრიათ პასუხსაგები ამოცანა ხელი შეუწყონ ინდოჩინეთში საომარი მოქმედების რაც შეიძლება მალე შეწყვეტას და მტკიცე, საიმედო მშვიდობის დამყარებას.

მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმას, რომ, როგორც ჩანს, ამ თათბირის ყველა მონაწილეს ერთნაირად როდი ესმის თავისი ამოცანები, ეს იქიდან ჩანს, რაც ამჟამად ხდება თათბირზე, აგრეთვე ჟენევის თათბირის გარშემო და მასთან ერთდროულად. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თათბირის ყველა მონაწილე როდია დაინტერესებული ინდოჩინეთში მშვიდობის რაც შეიძლება მალე აღდგენით. მართლაც, შეიძლება მონაწილეობდე ჟენევის თათბირში. მაგრამ შენს ამოცანად მიგაჩნდეს არა მშვიდობის აღდგენა ინდოჩინეთში, არამედ ის, რომ დაამტკიცო, რომ შეუძლებელია შეთანხმება ინდოჩინეთში ომის შეწყვეტის საკითხზე. მაგრამ ისინი, ვინც ცდილობს დაამტკიცოს, რომ შეუძლებელია შეთანხმება, მიდიან არა მარტო ინდოჩინეთში ომის გაჭიანურების გზით, არამედ საქმით ამზადებენ ომის შემდგომ გაფართოებას მთელი მისი საშიში შედეგებით.

არის ფაქტები, რომლებიც მოწმობს ზოგიერთი მთავრობის განზრახვას მშვიდობის აღდგენის ნაცვლად მოამზადონ ომის შემდგომი გაფართოება ინდოჩინეთში და ამ ომის მონაწილეთა რაოდენობის გადიდება. ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ ისეთ გეგმებს, რომლებთანაც უაღრესად ახლო დამოკიდებულება აქვს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს.

ამას მოწმობენ ისეთი ფაქტები, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით ეგრეთწოდებული „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის“ სამხედრო ბლოკის შექმნის გარშემო ატეხილი ფუსფუსი, რაც კვლავ გრძელდება, და ამ ბლოკში ზოგიერთი კოლონიური სახელმწიფოს და მათი ყველაზე მორჩილი სატელიტების მონაწილეობა. ამასვე მოწმობს ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მონაწილეობით თათბირის ფაქტი. ასეთსავე ფაქტებს უნდა მიეკუთვნოს ტაილანდის მთავრობის ცდა ხელი შეუშალოს ინდოჩინეთის საკითხის მოწესრიგებას ჟენევის თათბირზე, რაც ჩადენილია ამჟამად უცხოეთის აგრესიული წრეების კარნახით. ტაილანდის წინადადება—შეიქმნას უშიშროების საბჭოსთან ინდოჩინეთის საზღვარზე მდგომარეობისადმი მეთვალყურეობის კომისია არის ცდა — წინასწარ მოამზადონ რაიმე საბაბი ინდოჩინეთის საშინაო საქმეებში ფორმალურად გაერთიანებულა ერების ორგანიზაციის, ხოლო ფაქტიურად ამერიკის შეერთებული შტატების ჩასარევად, და მისი მიზანია ძირი გამოუთხაროს ნდობას ჟენევის თათბირისადმი, რომელიც მუშაობს ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენას კონკრეტულ საკითხებზე.

ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ იმას, რომ ცალკეული ქვეყნების აგრესიული წრეებში არსებობს შიში, რომ ჟენევის თათბირზე შეიძლება მიღწეულ იქნას ზოგიერთი დადებითი შედეგი ინდოჩინეთის საკითხის მშვიდობიანად მოწესრიგებაში. ასეთ პირობებში სსრ საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია ხაზგასმით აღნიშნოს მთელი პასუხისმგებლობა, რაც ამ თათბირს აკისრია ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის საქმეში.

რაც შეეხება სსრ საბჭოთა კავშირს, იგი ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის საკითხს განიხილავს არა როგორც ხანმოკლე შესვენებას ომის შემდგომი განგრძობისა ან, შესაძლოა, გაფართოებისთვისაც, არამედ როგორც მტკიცე მშვიდობის დამყარებას. სწორედ ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ჟენევის თათბირზე განხილულ იქნას როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური საკითხები.

1. საომარი მოქმედების შეწყვეტის საკითხისათვის

როდესაც ინდოჩინეთის საკითხის განხილვას შევუდექით, მიღწეულ იქნა შეთანხმება დაგვეწყო სამხედრო საკითხებით, რათა შემდეგ გადავსულიყავით ინდოჩინეთში პოლიტიკური მოწესრიგების საკითხების განხილვაზე. ახლა უკვე დროა შევაჯამოთ უკანასკნელ ოთხ კვირაში სამხედრო საკითხების განხილვის ერთგვარი შედეგები და აღარ გადავდოთ პოლიტიკური მოწესრიგების საკითხების განხილვა, მით უფრო, რომ განხილვამ დაადასტურა, რომ ორივე კატეგორიის ეს საკითხები ჭეიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან.

წინადადებანი, რომლებიც ეხება ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტას, შემოიტანა როგორც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ, ისე საფრანგეთის დელეგაციამ. განხილვის მსვლელობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ შემოიტანა თავისი წინადადებანი საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ძირითად პრინციპებზე. ამ წინადადებათა განხილვამ ცხადყო, რომ მთელ რიგ საკითხებზე დაისახა თათბირის მონაწილეთა თვალსაზრისების დაახლოება.

ასეთ საკითხებს ეკუთვნის, უწინარეს ყოვლისა, საკითხი ინდოჩინეთის მთელ ტერიტორიაზე ორივე მხარის მთელი შეიარაღებული ძალების მიერ საომარი მოქმედების ერთსა და იმავე დროს შეწყვეტის შესახებ. თუმცა ამასთან დაკავშირებით თათბირზე იყო ზოგიერთა შენიშვნა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას ამ საკითხზე.

ინდოჩინეთში რთული საომარი ვითარების გამო საომარი მოქმედების შეწყვეტა მოითხოვს, რომ მოწესრიგდეს როგორც ერთი, ისე მეორე მხარის ჯარების განლაგების ზონების საკითხი. ეს საკითხი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ და მხოლოდ მხარეებს შორის უშუალო მოლაპარაკების გზით. თათბირის იმ გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც მიღებულ იქნა 29 მაისს, დამყარებულია კონტაქტი ორივე მხარის სამხედრო წარმომადგენელთა შორის. ეს უკვე ჟენევაში მოხდა. აგრეთვე საჭიროდ არის ცნობილი, რომ სათანადო კონტაქტი დამყარდეს ადგილზე ინდოჩინეთში. დაიწყო ორივე მხარის ჯარების ზონებისა და შესაბამისი დისლოკაციის საკითხის განხილვა, რაც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ინდოჩინეთის საკითხის მოწესრიგების საქმეში.

დისკუსიის მსვლელობაში აგრეთვე გამოირკვა, რომ ჟენევის თათბირის ყველა მონაწილე პრინციპულად ეთანხმება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებას, რომ ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტასთან ერთად არ დაუშვან, რომ ინდოჩინეთში გარედან შეიყვანონ ახალი ჯარები და ყველა სახეობის სამხედრო პერსონალი, აგრეთვე შეიტანონ ყოველგვარი იარაღი და საომარი მასალა. ეს გასაგებიც არის, რადგან ყოველი შეთანხმება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეიძლება ქაღალდის ნაგლეჯად გადააქციონ, თუ არ ვიზრუნეთ იმისათვის, რომ არ დაუშვათ ინდოჩინეთში გარედან ჯარების შეყვანა და იარაღისა და საომარი მასალის შეტანა. წინაადმდეგ შემთხვევაში საომარი მოქმედების შეწყვეტა შეიძლებოდა გამოეყენებინათ ხანმოკლე დასვენებად, რათა მოიკრიბონ ძალები და გააახლონ ომი, შესაძლოა, კიდევ უფრო დიდი მასშტაბით.

თათბირის მონაწილეთა შორის ეჭვი არ გამოუწვევია აგრეთვე წინადადებას, რომ ორივე მხარის წარმომადგენელთაგან შეიქმნას შერეული კომისიები საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობათა შესრულების საკონტროლოდ. ასეთი კომისიების დიდი მნიშვნელობა თუნდაც უკვე იქიდან გამომდინარეობს, რომ სწორედ უშუალოდ დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეკისრებოდეს მთავარი პასუხისმგებლობა აღნიშნული შეთანხმების შესრულებისათვის და რომ თუ მხარეები არ ეცდებიან დაიცვან მიღწეული შეთანხმება, სხვა ვერავინ შეძლებს უზრუნველყოს ხელმოწერილი შეთანხმების სათანადო შედეგები.

განსაკუთრებით დეტალურად იქნა განხილული საკითხი, რომ საჭიროა დამყარდეს საერთაშორისო მეთვალყურეობა ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობათა შესრულებისადმი. ყველა დელეგაცია შეთანხმდა, რომ ასეთი საერთაშორისო მეთვალყურეობის განხორციელებისათვის საჭიროა შეიქმნას სათანადო ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანო. მე კიდევ მომიხდება ამ საკითხზე შეჩერება, რამდენადაც აქ დელეგაციათა პოზიციები სერიოზულად განსხვავდება.

საბჭოთა დელეგაცია, როგორც ცნობილია, დადებითად მოეკიდა აგრეთვე საფრანგეთის წანადადებას, რომ ჟენევის თათბირის მონაწილეებმა იკისრონ ვალდებულებანი ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების შესრულების გარანტიათა შესახებ. სხვა დელეგაციებმაც გამოთქვეს აზრი, რომ საჭიროა გარანტიები, თუმცა ამ საკითხის ყველა მხარე როდი განუხილავთ საკმაოდ.

მაგრამ არის საკითხები, რომელთა შესახებაც დელეგაციებს შორის უთანხმოებაა.

რა საკითხებია ეს?

უწინარეს ყოვლისა უნდა შევჩერდეთ შეთანხმების შესრულებისადმი საერთაშორისო მეთვალყურეობის საკითხზე.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა შემოიტანა წინადადება შეიქმნას ნეიტრალური ქვეყნების სამეთვალყურეო კომისია ინდოეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და პაკისტანის შემადგენლობით. აქედან ორ ქვეყანას — ინდოეთსა და პაკისტანს — დიპლომატიური ურთიერთობა აქვს ერთ მხარესთან, სახელდობრ საფრანგეთთან, ხოლო ორ სხვა ქვეყანას — პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს მეორე მხარესთან— ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ საერთაშორისო კომისიის აღნიშნულ შემადგენლობას საჭირო ავტორიტეტი ექნება და უზრუნველყოფს, რომ ამ საერთაშორისო ორგანოს მუშაობაში არ იყოს ცალმხრივობა და მიკერძებული მოპყრობა ამა თუ იმ მხარისადმი. გალაშქრება იმის წინააღმდეგ, რომ ამ კომისიაში მონაწილეობა მიიღონ ისეთმა ქვეყნებმა, როგორიც არიან პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია, რომელნიც თითქოს ამ შემთხვევაში ნეიტრალურ პოზიციაზე ვერ იდგებიან იდეოლოგიურ მოსაზრებათა გამო, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ასეთი გალაშქრება არანაკლები საბაბით შეიძლება კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგაც. აქ აშკარად ავიწყდებათ, რომ აღნიშნული მოსაზრება ასეთი ჯოხია, რომელსაც ორი ბოლო აქვს, რაზეც, ვფიქრობ, საჭირო არ არის ვრცლად ლაპარაკი.

აგრეთვე არ უნდა დავივიწყოთ, რომ კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმებითაც შექმნილია ნეიტრალური ქვეყნების კომისია პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ახლანდელი ცდები — სახელი გაუტეხონ კორეის საკითხთა ამ კომისიას აშკარად უსაფუძვლოა და შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ როგორც მისწრაფება ხელი შეუშალონ დიდმნიშვნელოვან საკითხზე შეთანხმების მიღწევას.

ჯერ კიდევ არ არის აგრეთვე მიღწეული ჯეროვანი შეთანხმება როგორც საერთაშორისო სამეთვალყურეო კომისიის, ისე ორივე მხარის წარმომადგენელთა შერეული კომისიების ამოცანებისა და ფუნქციების შესახებ. ამ კომისიების ურთიერთდამოკიდებულება უნდა განისაზღვრებოდეს მათი ფუნქციების განსხვავებით.

ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისიის მთავარი ამოცანაა:

უზრუნველყოს, რომ აღიკვეთოს ჯარებისა და ყველა სახეობის პერსონალის შეყვანა, აგრეთვე ყოველგვარი შეიარაღებისა და საომარი მასალის შეზადვა ინდოჩინეთში;

თვალყური ადევნოს იმას, რომ ორივე მხარემ განახორციელოს დადგენილებანი სამხედრო სადემარკაციო ხაზების განსაზღვრისა და დემილიტარიზებული ზონების დაწესების შესახებ;

თვალყური ადევნოს ჯარის ნაწილების გადანაცვლებას, რაც ზონების მოწესრიგებისათვის ხორციელდება;

თვალყური ადევნოს ორივე მხარის მუშაობას სამხედრო ტყვეთა და ინტერნირებულ მოქალაქეთა რეპატრიაციის დარგში;

შერეული კომისიის ან ამ კომისიის ერთ-ერთი მხარის თხოვნით გამოიკვლიოს დემილიტარიზებულ ზონებში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევის ფაქტები და წარუდგინოს ორივე მხარეს წინადადებანი მათი აღკვეთის შესახებ.

შერეული კომისიების ამოცანაა უზრუნველყონ, რომ განხორციელდეს ადგილებზე საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულების კონკრეტული ღონისძიებანი. ეს ღონისძიებები უნდა შეეხებოდეს:

კონტროლს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ერთსა და იმავე დროს და ყველგან შეწყდეს ცეცხლი;

ზონების რეგულირების გეგმის შესრულებას და ორივე მხარის შეიარაღებული ძალების დადაჯგუფებას.

მხარეების სამხედრო წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკების გზით სხვა საკითხების გადაჭრას, რომლებიც დაკავშირებულია შეთანხმების პირობების დარღვევასთან.

იბადება კითხვა, როგორ უნდა მოიქცნენ იმ შემთხვევაში, თუ ამ კომისიებში ან კომისიებს შორის არ იქნა მიღწეული შეთანხმება ამა თუ იმ საკითხზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, სად არის ის ორგანო, რომელსაც უნდა მიმართონ, თუ კომისიებში თავი იჩინა უთანხმოებამ. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ არის ძნელი, თუ დავეყრდნობით წინათ მოხსენიებულ წინადადებას, რომ გარკვეული სახელმწიფოები უნდა გახდნენ ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულების გარანტები. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭირო შემთხვევებში ინსტანციას, რომელსაც უნდა მიმართონ, წარმოადგენენ გარანტი სახელმწიფოები. მათ დაეკისრებათ მოვალეობა მიიღონ სათანადო შეთანხმებული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შესაბამისი შეთანხმების დარღვევის ან ასეთი დარღვევის საფრთხის თავიდან აცილება.

არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულებისადმი მეთვალყურეობის ხასიათისა და ფუნქციების საკითხი შემდგომ განხილვას მოითხოვს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ყველანი შევთანხმდით გარკვეულ საწყის დებულებებზე, განსაკუთრებით სერიოზული

ინდოჩინეთის საკითხის განხილვისათვის

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის განცხადება ჟენევის თათბირზე 1954 წლის 8 ივნისს

(დასასრული)

სიძნელეები არ შეგეხვდება ამ მნიშვნელოვან საკითხზე შეთანხმების მიღწევაში.

ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის პრობლემის განხილვის მსვლელობაში წარმოიმართა საკითხი — საომარი მოქმედების შეწყვეტისა და დაზავების სათანადო პირობების დაწესების შესახებ გადაწყვეტილება უნდა შეეხოს თუ არა ინდოჩინეთის სამივე სახელმწიფოს. ამასთან აღმოჩნდა თათბირის მონაწილეების აზრთა სხვადასხვაობა. საბჭოთა დელეგაცია ემყარება იმ დებულებას, რომ ჩვენს წინაშე დგას მთლიანად ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის ამოცანა, როგორც ამას ბერლინის კომუნიკე ითვალისწინებს.

ამასთან მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ, რომ ინდოჩინეთის სამივე სახელმწიფოში — ვიეტნამში, კამბოჯასა და ლაოსში — მოვლენებს ერთი და იგივე ძირითადი მიზეზები აქვს. ინდოჩინეთში მომხდარი ამბები ცხადყოფენ, რომ ვიეტნამში, აგრეთვე ლაოსსა და კამბოჯაში არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა უცხოეთის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მონაწილეობენ არა მარტო ესა თუ ის შეიარაღებული ძალები, არამედ თვით ხალხებიც. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ინდოჩინეთში სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაქანება და ძალა.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ დავინახოთ განსხვავებაც ინდოჩინეთის ცალკეული სახელმწიფოების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

მაგალითად, ვიეტნამში ამ ქვეყნის სამი მეოთხედი ტერიტორია არ იმყოფება ბაო დაის მთავრობის ოფიციალურ ხელისუფალთა კონტროლში. ცნობილია, რომ ვიეტნამის უზარმაზარ ტერიტორიებს ჩრდილოეთში, აგრეთვე ცენტრსა და სამხრეთში მართავენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ორგანოები. რაც შეეხება ლაოსს, აქაც ამ ქვეყნის ნახევარამდე ტერიტორია არ იმყოფება მთავრობის ოფიციალურ ორგანოების კონტროლში. კამბოჯაში იმ ტერიტორიის ოდენობა, რომელიც ოფიციალურ ხელისუფალთა კონტროლში არ იმყოფება, ნაკლებია, ვიდრე ინდოჩინეთის სხვა რაიონებში, მაგრამ აქაც ჩაღდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. ამიტომ სწორი არ იქნებოდა უარგვეყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის არსებობა როგორც ლაოსში, ისე კამბოჯაში და იქაური ამბები აგვეხსნა რაღაც გარეშე ფაქტორების გავლენით, მაგალითად, ვიეტნამის შეიარაღებული ძალების ჩარევით. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა დამაჯერებლად გაბათილა ასეთი მტკიცებანი.

აქ მყოფი ლაოსის, აგრეთვე კამბოჯის წარმომადგენლები ამ საკითხზე სხვა აზრისა არიან. მაგრამ ჩვენს შორის მყოფი ბაო დაის მთავრობის წარმომადგენელიც ხომ მზად არის უარყოს ვიეტნამში სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსებობა, თუმცა ასეთ მტკიცებათა უსაფუძვლობა აშკარაა. შეიძლება სრული საფუძვლით ვთქვათ, რომ ამგვარი განცხადებანი მოწმობენ, რომ ისინი არ ასახავენ არც ნამდვილ მდგომარეობას, არც ნამდვილ კავშირს თავის ხალხთან, რომ ამ განცხადებებში ლიტონი სიტყვით არის უარყოფილი ფართოდ ცნობილი ფაქტები.

თათბირის ზოგიერთი მონაწილე ცდილობდა დავერწმუნებინეთ, რომ ინდოჩინეთის სახელმწიფოების — ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის დამოუკიდებლობის დამყარების ამოცანა თითქოს უკვე სავსებით გადაწყვეტილი იყოს, რომ ამ ქვეყნების ეროვნული მოთხოვნები დაკმაყოფილებული იყოს. ამასთან კამბოჯის წარმომადგენელმა დაიმოწმა 1949 წლისა და 1953 წლის შეთანხმებანი საფრანგეთთან. ლაოსის წარმომადგენელმა აქ დაიმოწმა 1949 წლის შეთანხმება საფრანგეთთან. დასასრულ ბაო დაის მთავრობის წარმომადგენელმა დაიმოწმა ამასწინანდელი შეთანხმება საფრანგეთთან. მაგრამ ეს შეთანხმება ჯერ კიდევ ხელმოუწერელია და ამიტომ გამოქვეყნებულიც არ არის. მთელი ეს განცხადებანი ხდობას ვერ იწვევენ, რადგან ისინი არ უზრუნველყოფდნენ და არ უზრუნველყოფენ ინდოჩინეთის სახელმწიფოთა ნამდვილ დამოუკიდებლობას. ასეთი მდგომარეობის დროს გასაგები ხდება, თუ რატომ არის, რომ აზიის არც ერთი სახელმწიფო — მათ შორის ინდოეთი, პაკისტანი, ინდონეზია, ბირმა სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებს ასეთ განცხადებებს. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ აზიის ქვეყნებს არა სურთ დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდეთ არც ვიეტნამთან, არც ლაოსთან, არც კამბოჯასთან. გარდა ამისა, შეიძლებოდა, მაგალითად, დაგვემოწმებინა საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა განცხადებანი, რომლებიც მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ ინდოჩინეთს, ეს განცხადებანი შეიცავენ იმის გარკვეულ აღიარებას, რომ ინდოჩინეთის სამივე ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაა, და ამასთანავე აღნიშნულია, რომ საჭიროა, რათა საფრანგეთმა ბოლოს და ბოლოს უზრუნველყოს ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის დამოუკიდებლობა.

უკვე რვა წელია ინდოჩინეთში ომი წარმოებს. საფრანგეთის მთავრობა დიდად ცდილობდა თავისი მიზნებისათვის მიეღწია სამხედრო ღონისძიებებით. ამას შედეგი არ მოჰყოლია.

მას შემდეგ, რაც შეიქმნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, არსებობდა ბევრი გეგმა, რომელთა მიზანი იყო ომით გაენადგურებინათ ამ რესპუბლიკის არმია და ჩაეხშოთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა კოლონიური წესწყობილების აღდგენის მიზნით. ეს დიდ მსხვერპლად დაუჯდათ ინდოჩინეთის ხალხებს. ამასთანავე ინდოჩინეთის ომში ფრანგმა ხალხმაც გაიღო მძიმე მსხვერპლი როგორც ადამიანთა, ისე მატერიალური რესურსების მხრივ.

პირველ წარმატებათა შემდეგ, რომლებიც ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე უეცარი თავდასხმის შედეგად მოიპოვა, საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსი წლათიწლობით მარცხდებოდა და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა აწვდიდა იარაღს: ტანკებს, თვითმფრინავებს, საომარ მასალას, აგრეთვე სხვა სამხედრო საჭურველსა და მასალებს, რომელთა რაოდენობა სულ უფრო დიდდებოდა უკანასკნელ წლებში. აქ უადგილო არ იქნება, თუ მოვიყვანთ ზოგიერთ მონაცემს საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის ზარალის შესახებ ინდოჩინეთში, რაც ფართოდ არის ცნობილი საფრანგეთის ეროვნულ კრებაში წარმოთქმული სიტყვებიდან. ეს ზარალი მნიშვნელოვნად აღემატება 100.000 კაცს მოკლულთა და დაჭრილთა სახით, ამასთან ეს ზარალი სულ უფრო დიდდება. ინდოჩინეთის ომი 2.000 მილიარდ ფრანკზე მეტად დაუჯდა საფრანგეთს. ამერიკის ჟურნალ „რიდერს დაიჯესტის“ 1954 წლის მაისის ნომერში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით „რვა წლის ომი საფრანგეთს თითქმის იმდენივე თანხად დაუჯდა, რამდენიც ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მიიღო როგორც ეკონომიური და სამხედრო დახმარება“.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ქება-დიდებას ასხამდნენ გენერალ ნავარის გეგმას, რომლის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი შარშან ამბობდა, რომ „ინდოჩინეთის ომი წარმატებით დამთავრდება მომავალი წლის განმავლობაში“, ე. ი. 1954 წლის განმავლობაშიო. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის მეორე განცხადებაში, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალს ეკუთვნის, ნათქვამი იყო: „ჩვენ ხელი მოვაწერეთ გენერალ ნავარის გეგმას და გვწამს, რომ იგი წარმატებას მოგვიტანს“. ბევრი დრო არ დასჭირდა იმას, რომ ხელი აეღოთ ასეთი გეგმების წარმატების ვარაუდზე. ეს ფაქტი არ შეიძლება საგულისხმოდ არ მივიჩნიოთ.

2. ინდოჩინეთის პოლიტიკური პრობლემების შესახებ

მე მომიხდა შევხებოდი ინდოჩინეთის საომარ ამბებს, აგრეთვე ამ ამბების შედეგებს. მაგრამ უნდა ვალიარო, რომ ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენა მარტო სამხედრო საკითხებით როდი ამოიწურება.

სავსებით ცხადია, რომ ინდოჩინეთში მტკიცე მშვიდობის დამყარების ამოცანა მოითხოვს პოლიტიკური საკითხების მოწესრიგებას. ეს საბჭოთა დელეგაციას არაერთხელ აღუნიშნავს თავის გამოსვლებში იმ წინადადებათა მხარდასაჭერად, რომლებიც ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შემოიტანა თათბირის განსახილველად.

ამასთან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ორ ძირითად პრობლემას. პირველი პრობლემა შეეხება საფრანგეთისა და ინდოჩინეთის სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულებას. მეორე — ინდოჩინეთის სახელმწიფოების შინაპოლიტიკურ მდგომარეობას.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ პოზიცია, რომელიც აქ ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ჩამოაყალიბა საფრანგეთთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე, ქმნის საჭირო წინაპირობებს, რათა ეს პრობლემა მეგობრულად მოწესრიგდეს დაინტერესებულ მხარეებს შორის ის შემთხვევაში, თუ საფრანგეთიც ესწრაფვის ასეთ მოწესრიგებას.

ჩვენ აქ მოვისმინეთ განცხადებანი იმის შესახებ, რომ საფრანგეთი მზად არის ცნოს ვიეტნამისა და ინდოჩინეთის სხვა სახელმწიფოების დამოუკიდებლობა და ჯერ-ჯერობით უზრუნველყოს მათი სუვერენიტეტი და ეროვნული ინტერესები. მეორე მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს საკითხი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საფრანგეთის კავშირში შესვლის შესახებ ნებაყოფლობითობის პრინციპის შესაბამისად. რამდენადაც ორივე მხარე აცხადებს, რომ შესაძლებელია ურთიერთდამოკიდებულების საკითხის მოწესრიგება ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პრინციპების აღიარების საფუძველზე, თითქოს ამ საკითხის გადაჭრა არ უნდა ხვდებოდეს გადაულახავ დაბრკოლებებს.

აქ კამბოჯის მეფისა და ლაოსის მეფის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადებანი, რომ ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის საკითხი თითქოს სავსებით მოწესრიგდა ჯერ კიდევ 1949 წელს. ბაო დაის მთავრობას წარმომადგენელმა თავის მხრივ დაიმოწმა და მოიყვანა ტექსტი, რომელსაც არავინ აწერს ხელს და რომელიც, როგორც ჩანს, მის ჯიბეში რჩება. ეს განცხადებები დამაჯერებელი რომ არ არის, ამაზე უკვე იყო ლაპარაკი. შეიძლება ითქვას, რომ ამ განცხადებებს არსად არ ეკიდებიან ნდობით.

აი, მაგალითად, რა არის ნათქვამი ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის სპეციალური მისიის 1953 წლის 12 მაისის მოხსენებაში, რომელიც შეეხება პაკისტანში, ინდოეთში, ტაილანდსა და ინდოჩინეთში მოგზაურობას, ინდოჩინეთში არსებული მდგომარეობის საკითხზე:

„მიუხედავად საფრანგეთის განცხადებებისა იმის შესახებ, რომ მას განზრახული აქვს მისცეს დამოუკიდებლობა, ბევრი ინდოჩინელი ამბობს, რომ მოელვარება, აგრეთვე უუნარობა — უფრო მტკიცედ დაუჭირონ მხარი თავიანთ მთავრობას — აიხსნება იმით, რომ ხალხს არსებულ ვითარებაში არა აქვს არც თავისი ხელმძღვანელების საკმაო რწმენა, არც იმის რწმენა, რომ საფრანგეთი მზად არის მისცეს ნამდვილი დამოუკიდებლობა...“.

ეს განცხადება გააკეთეს გასული წლის გაზაფხულზე.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის სპეციალური მისიისავე მეორე მოხსენებაში, რომელიც უკვე 1954 წლის 29 იანვარს ეკუთვნის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მოგზაურობის შედეგების შესახებ კვლავ აღნიშნული იყო, რომ არ არსებობს ინდოჩინეთის სახელმწიფოთა „პოლიტიკური დამოუკიდებლობა“.

ამერიკის მისიების ეს განცხადებანი, რომლებიც როგორც წარსულ, ისე — აგრეთვე მიმდინარე წელს ეკუთვნის, ყურადღების ღირსია, რამდენადაც ისინი აღნიშნავენ ფაქტებს, თუმცა სინამდვილეში ეს განცხადებები გამსჭვალულია ინდოჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი მტრობის სულისკვეთებით.

მაგრამ გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმ უბრალო და საყოველთაო ცნობილ ფაქტებს, რომლებიც ინდოჩინეთში არსებულ მდგომარეობას შეეხება.

ვინ უარყოფს, რომ დიენ-ბიენ-ფუს დაცვას ახორციელებდნენ, უმთავრესად, არა ფრანგთა ძალები და არა ვიეტნამელთა ძალები, არამედ იქ თავმოყრილ ყველა ჯიგრის უცხოელთა ძალები. დიენ-ბიენ-ფუს გარნიზონის ჯარებში დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ ადამიანები, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ არც საფრანგეთთან, არც ვიეტნამთან. და ეს ადამიანები, თურმე ხუ იტყვით, იცავდნენ ვიეტნამის ინტერესებს, თუმცა ვიეტნამელ ხალხს ეს მათთვის არ უთხოვია.

სულ სხვა მდგომარეობაა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებში. მის ჯარებში არავინ ყოფილა, გარდა ვიეტნამელებისა. ყოველგვარი ცდა — გაევრცელებინათ ხმები, რომ ამ ჯარებში უცხოელები არიან, ყველასათვის აშკარა ნაყალბევი აღმოჩნდა. განა ეს არ მოწმობს, თუ ვის მხარეზეა ვიეტნამელი ხალხი? ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობის დამცირების ცდებს აბათილებს ასეთი ფაქტები.

ავიღოთ უკანასკნელი დროის მეორე მაგალითი.

სულ ცოტა ხნის წინათ, მაისში ბაო დაის მთავრობამ მოახდინა ვიეტნამელების მობილიზაცია თავისი ჯარების გასადიდებლად. თქვენ იცით, რით დამთავრდა ეს საქმე. მობილიზაციით გამოცხადდა არმიაში გაწვეულთა მხოლოდ 10 პროცენტი. 90 პროცენტმა არ ისურვა წასულიყო ბაო დაის მთავრობის არმიაში. ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ერთი ცნობაც, რომელიც ორი დღის წინათ გამოქვეყნდა ინგლისურ გაზეთ „ობსერვერში“. ამ ცნობის თანახმად, ბაო დაის ვიეტნამის არმია „ამჟამად მეტ ხალხს კარგავს დეზერტირობისა და პასიური წინააღმდეგობის შედეგად, ვიდრე იგი ახალი გაწვევის შედეგად იღებს“. განა დღევანდელი დღის ეს ფაქტები იმას არ მოწმობენ, რომ ვიეტნამელი ხალხი არ ემხრობა ბაო დაის ახლანდელ ხელისუფლებას და რომ ვიეტნამელი ხალხი მიდის სულ სხვა გზით და სულ უფრო აქტიურად უჭერს მხარს თავის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ასეთ პირობებში რას ნიშნავს ინდოჩინეთში კოლონიური ომის განგრძობა? იგი არ შეიძლება სხვა რამეს ნიშნავდეს, თუ არა წინააღმდეგობათა შემდგომ გაღრმავებას საფრანგეთსა და ინდოჩინეთს ხალხთა შორის. როგორც ვიეტნამის დემოკრატიული მთავრობის, ისე საფრანგეთის მთავრობის განცხადებანი კი მოწმობენ, რომ შესაძლებელია გამოინახოს საერთო ენა საფრანგეთისა და ვიეტნამის ურთიერთობის, აგრეთვე საფრანგეთისა და ინდოჩინეთის სხვა სახელმწიფოთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. თუ საფრანგეთის მთავრობა მართლაც ისწრაფვის დაამყაროს ინდოჩინეთის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა, მაშინ ახლანდელ პირობებში არ არის ინდოჩინეთში ომის განგრძობის საფუძველი, რამდენადაც შეიქმნა ამ ურთიერთობის მეგობრულად მოწესრიგების მნიშვნელოვანი წინაპირობები. ეს მოწესრიგება ახლა შესაძლებელა გახდა ორივე მხარისათვის საპატიო პირობებით. ყოველ შემთხვევაში, ვერავინ ვერ დაამტკიცებს, რომ ინდოჩინეთში ომის განგრძობას საფრანგეთის ეროვნული ინტერესები მოითხოვდეს. პირიქით, ამ საკითხზე ვიეტნამელი ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაზე უარისთქმა ან მისთვის თავის არიდება, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ვიეტნამსა და ინდოჩინეთის სხვა სახელმწიფოებში შინაპოლიტიკური მდგომარეობის მოწესრიგებას.

ჩვენ აქ მოვისმინეთ ბაო დაის წარმომადგენლის პრეტენზია ვიეტნამში შინაპოლიტიკური მოწესრიგების საკითხზე. თურმე ბაო დაის მთავრობაც ლაპარაკობს ვიეტნამის ტერიტორიაზე თავისუფალი არჩევნების შესახებ. მაგრამ, მის წინადადებათა თანახმად, ვიეტნამში უნდა მოეწყოს მხოლოდ ისეთი არჩევნები და მხოლოდ ისეთ დროს, როცა ეს უზრუნველყოფს ბაო დაის ახლანდელი ხელისუფლების შენარჩუნებას, რომლის სრული უავტორიტეტობა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ნამდვილად კი ასეთ ხელისუფლებას არ ესაჭიროება საყოველთაო არჩევნები. მისთვის არჩევნები სამშიაა. ასეთი ხელისუფლება ემყარება არა ხალხს, არამედ უცხოეთის ხიშტებს.

ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება ისიც გავიხსენოთ, თუ საფრანგეთის ეროვნულ კრებაში 1954 წლის 5 მარტს ბაო დაის მთავრობაზე რას ამბობდა საფრანგეთის ისეთი ავტორიტეტიანი მოღვაწე, როგორიც არის ე. დალადიე:

„ამ მთავრობას ხალხი არ ენდობა. აშკარა ამტკიცებს ის ფაქტი, რომ მას შეეძლო მუნიციპალური და პროვინციული არჩევნების მხოლოდ კარიკატურისათვის მიემართა ისეთ რაიონში, როგორიც, მაგალითად, გუეს რაიონია, სადაც 250-დან 300-მდე ათასი მცხოვრებია. ხმის მიცემის უფლება მიენიჭა მხოლოდ 7-8 ათასს, და იმათაც კი ხმა არ მისცეს მისი უდიდებულესობის ბაო დაის კანდიდატებს“.

ამასთან დაკავშირებით იმასაც გავიხსენებ, თუ ამ დღეებში რას წერდა ინგლისური ჟურნალი „სპექტეიტორი“: „თავისუფალი არჩევნები ვიეტნამში ამ ეტაპზე უსათუოდ გამოიწვევს ხო ში მინის გამარჯვებას ბაო დაიზე“.

ნათქვამის ცუდი განმარტება არ იქნება 3 ივნისის ჟურნალ „ფრანს-ობსერვატერის“ აზრი, სადაც მოცემულია ვიეტნამში ახლანდელი მდგომარეობის შემდეგი შეფასება:

„ბაო დაისადმი მტრული ურთიერთობა მით უფრო ძლიერია, რომ მან არ შეასრულა დაპირებანი საშინაო პოლიტიკის დარგში, როგორიც იყო: ბოლო მოეღო კორუპციისათვის, განეხორციელებინა აგრარული რეფორმა, განეხორციელებინა შრომის კოდექსი და სხვ. მუშათა ცხოვრების დონე 60 პროცენტით დაქვეითდა 1939 წელთან შედარებით. პრესისათვის შემოღებული ცენზურა უფრო საშინელია, ვიდრე ოდესმე ყოფილა“.

მოყვანილი ცნობები, რომელთა რაოდენობა შეიძლებოდა ბევრად გაგვიდიდებინა, იმას მოწმობენ, რომ შინაპოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთის ჯარების მიერ ოკუპირებულ ვიეტნამის ტერიტორიაზე კატასტროფულია, რამდენადაც ახლანდელი მთავრობა ხალხთან არ არის დაკავშირებული და სრულიად არ გამოხატავს მის ინტერესებს. წინადადება თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ, რაც ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შემოიტანა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიეტნამში პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის ნამდვილი გაუმჯობესებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ამასწინანდელი განცხადება, რომ ვიეტნამი მომწიფებული არ არის და რომ იგი თანაგრძნობით არ ეპყრობა ინდოჩინეთში თავისუფალ არჩევნებს, არ მოწმობს მისწრაფებას — მოწესრიგებულ იქნას შინაპოლიტიკური მდგომარეობა ვიეტნამსა და ინდოჩინეთის სხვა სახელმწიფოებში. მაგრამ ჟენევის თათბირმა თავი არ უნდა აარიდოს პასუხს ვიეტნამელი ხალხის მოთხოვნაზე უახლოეს დროში მოეწყოს თავისუფალი არჩევნები, რათა საყოველთაო თავისუფალი არჩევნების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას მთელი ვიეტნამისათვის ერთიანი დემოკრატიული მთავრობის შექმნა. ჟენევის თათბირი დუმილით ვერ აუვლის გვერდს ამ საკითხს. მაგრამ უწინარეს ყოვლისა ეს შეეხება საფრანგეთის მთავრობას, რომელმაც უნდა განაცხადოს, თუ როგორ ეპყრობა იგი თავისუფალ არჩევნებს ვიეტნამში და ინდოჩინეთის სხვა სახელმწიფოებში.

რა თქმა უნდა, თავისუფალი არჩევნების მოწყობა მოითხოვს განსაზღვრული პირობების დაცვას. საჭიროა, რომ თვით ვიეტნამელმა ხალხმა აიღოს ეს საქმე თავის ხელში და უზრუნველყოს პატრიოტული პარტიების, ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავისუფალი საქმიანობა საყოველთაო თავისუფალი არჩევნების მომზადებისა და მოწყობის დროს. ეს შექმნიდა საუკეთესო და ნამდვილ საიმედო გზას ვიეტნამის ერთიანობის აღსადგენად. შესაფერის ღონისძიებათა განხორციელება საჭიროა ინდოჩინეთის სხვა სახელმწიფოებშიც. თავისუფალი არჩევნების მოწყობას წინ უნდა უსწრებდეს ინდოჩინეთის სახელმწიფოთა ტერიტორიიდან უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანა, რაც ბუნებრივია, მოითხოვს თათბირზე განსახილველი სამხედრო საკითხების სათანადო მოწესრიგებას.

საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნდა თათბირისათვის მოეგონებინა ძირითადი პოლიტიკური საკითხები, რომლებიც მოითხოვენ გადაწყვეტას ინდოჩინეთის სამივე სახელმწიფოს მიმართ. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, ის საკითხი, რომ საფრანგეთსა და ინდოჩინეთის სამ სახელმწიფოს შორის დამყარდეს ახალი ურთიერთობა ინდოჩინეთის ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პრინციპების ნამდვილი ცნობის საფუძველზე. ეს არის აგრეთვე ის საკითხი, რომ ვიეტნამსა და ინდოჩინეთის სხვა სახელმწიფოებში მოეწყოს თავისუფალი არჩევნები, რაც შესაძლებელს გახდიდა ამ სახელმწიფოთა ერთიანობის უსწრაფეს აღდგენას და ავტორიტეტიანი დემოკრატიული მთავრობების შექმნას. ჩვენ არ შეგვიძლია განზე გადავდოთ ამ საკითხების გადაწყვეტა, თუ გვსურს უზრუნველვყოთ ინდოჩინეთში მტკიცე, საიმედო მშვიდობის აღდგენა.

ახლა ჟენევაში უშუალო კონტაქტია დამყარებული მხარეთა შორის სამხედრო საკითხებზე. საჭიროა, რომ ეს კონტაქტი განხორციელდეს აგრეთვე ადგილზე, ინდოჩინეთში, როგორც ეს ამას წინათ ყველა ჩვენგანმა აღიარა. ამ უშუალო მოლაპარაკების შედეგები თათბირზე უნდა განვიხილოთ.

ამასთან საჭირო‍ა განვიხილოთ ის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელს გახდის დამყარდეს ესოდენ საჭირო მშვიდობა ინდოჩინეთის ყველა სახელმწიფოში. რა თქმა უნდა, პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისთვისაც დიდი მნიშვნელობა ექნება მხარეთა შორის უშუალო კონტაქტის დამყარებას.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ, გარდა თათბირზე განსახილველ სამხედრო საკითხთა განხილვისა, აუცილებელი გახდა:

1. დაუყოვნებლივ განვიხილოთ პოლიტიკური საკითხები, რომლებიც მოითხოვენ გადაჭრას ინდოჩინეთში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. შეგვეძლო ამ მიზნით ისეთი წესი მივიღოთ, რომლის დროსაც სამხედრო და პოლიტიკურ საკითხებს პარალელურად განვიხილავდით ისე, რომ სამხედრო და პოლიტიკური საკითხებისადმი მიძღვნილი სხდომები რიგრიგობით მომხდარიყო.

2. პირველ რიგში განვიხილოთ საკითხები, რომლებიც ეხება ინდოჩინეთის სამი სახელმწიფოსათვის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მინიჭებას, ამ სახელმწიფოებში თავისუფალი საყოველთაო არჩევნების მოწყობას, აგრეთვე ინდოჩინეთის ტერიტორიიდან უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანას.

3. უზრუნველვყოთ ორივე მხარის წარმომადგენლებს შორის უშუალო კონტაქტის დამყარება პოლიტიკურ საკითხთა განსახილველად, რასაც დადებითი მნიშვნელობა ექნებოდა და გააადვილებდა სათანადო შეთანხმების მიღწევას ამ საკითხებზე.

საბჭოთა დელეგაცია ცდილობს ყოველნაირად შეუწყოს ხელი როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ საკითხთა რაც შეიძლება მალე განხილვას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჟენევის თათბირის ყველა მონაწილე ცდილობს წინ წასწიოს ამ საკითხების განხილვა, რადგან ამაზეა დამოკიდებული ინდოჩინეთში მყარი და საიმედო მშვიდობის აღდგენა.

დღეს მოვისმინეთ საფრანგეთის დელეგაციის მეთაურის განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ჟენევის თათბირმა უკვე მიაღწია ზოგიერთ შედეგს მშვიდობის გზაზე. ამ განცხადების მნიშვნელობა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ საფრანგეთის დელეგაციის შემდგომი ნაბიჯები რამდენად იქნება ამის შესაბამისი.

6 ივნისს ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, ექიმი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ნიკოლოზ ანდრიასძე ყიფშიძე.

ნ. ა. ყიფშიძე დაიბადა 1888 წელს ქალაქ გორში. 1902 წელს, გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, შევიდა თბილისის ვაჟთა ბირველ გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1908 წელს. იმავე წელს მიღებულ იქნა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. სტუდენტობის დროს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ნ. ა. ყიფშიძე არაერთხელ ყოფილა რეპრესირებული მეფის მთავრობის მიერ.

1914 წელს სამხედრო-სამედიცინო აკადემიის დამთავრების შემდეგ ნ. ა. ყიფშიძე გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში ექიმად. 1918 წელს იგი საქართველოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო რესპუბლიკის კლინიკურ (ყოფილ მიხეილის) საავადმყოფოში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება ნ. ა. ყიფშიძის მრავალმხრივი, ნაყოფიერი საექიმო, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1930 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი განაგებდა შინაგან სნეულებათა კათედრას სამედიცინო ინსტიტუტის სხვადასხვა ფაკულტეტებზე და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. უკანასკნელ ხანს ნ. ა. ყიფშიძე იყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს თერაპევტთა საზოგადოების თავმჯდომარე, საკავშირო თერაპიული საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, ჟურნალ **„Терапевтический архив“**-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიური განყოფილების ბიუროს წევრი, კურორტ ბორჯომის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და სხვ.

ნ. ა. ყიფშიძის კალამს ეკუთვნის 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რამდენიმე მონოგრაფია და შინაგან სნეულებათა სახელმძღვანელო სტუდენტებისა და ექიმებისათვის, რომელიც მრავალჯერ გამოიცა. ნ. ა. ყიფშიძის ხელმძღვანელობით მისი მოწაფეების მიერ დაწერილია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, აქედან 12 დისერტაცია. მან აღზარდა საბჭოთა ექიმების რამდენიმე თაობა, ათობით მეცნიერი მუშაკი, რომლებიც ამჟამად დამოუკიდებელ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევიან.

ნ. ა. ყიფშიძის უაღრესად შინაარსიანი ლექციები ყოველთვის იზიდავდა ფართო აუდიტორიას.

მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ნ. ა. ყიფშიძის დამსახურებას სამშობლოს წინაშე და დაჯილდოვა იგი ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

პროფესორი ნ. ა. ყიფშიძე იყო სსრ კავშირის მეორე და მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ნ. ა. ყიფშიძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მოწაფეებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურგენიძე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი იუწყება პროფესორ ნიკოლოზ ანდრიას-ძე ყიფშიძის გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს დირექცია, პარტორგანიზაცია და პროფორგანიზაცია იუწყებიან პროფესორ ნიკოლოზ ანდრიას-ძე ყიფშიძის გარდაცვალებას.

ახლო ნათესავები **სონია, მარგალიტა, ეკატერინე, ნათელა, ზინა ქვაჭაძეები, გ. ლორთქიფანიძე, გ. მელია, ლ. ანიკაშვილი, გ. გელაშვილი იუწყებიან ელისაბედ სარდიონის ასულ გრიგოლაშვილი-კახიანის** გარდაცვალებას.

**მეუღლე ოლღა შვილებით მაცაცუნა და კოტე